ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 247
1877

ივერია

№ 247
1903

ნოემბერი 19, ოთხშაბათი 1903 წ

ნოემბერი 19, ოთხშაბათი 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

რედაქციისაგან

უმორჩილესად ვსთხოვთ იმ ხელის მომწერთ, რომელთაც გაზეთის ფული სრულად არ შემოუტანიათ, დააჩქარონ ფულის შემოტანა.

პირველ ნოემბრიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 2 მან. 75 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით 6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კაპ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

ვასილ მიხეილის ძე ნადირაძე აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 22 ნოემბერს, სოფ. ქვემო-მაჩხაანში გარდახდილ იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის მისის საყვარელის ძმის

დიმიტრი მიხეილის ძის ნადირაძის (მაჩხანელი)

სულის მოსახსენებლად. (2—2)

როინაშვილისეული ფოტოგრაფია.

ამ წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების

ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი,

იჯარით ავიღე

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი**, მიეცემა **მუქთად** აკვარელით (ფერადებით) **საუცხოოდ დახატული.**

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასაყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, სანახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლე ფოტოგრაფია გადაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის ძე მომცელიძე.**

ტფილისის სახაზინო თეატრი

რუსული ოპერა

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

ოთხშაბათს, 19 ნოემბერს 1903 წ.

წარმოდგენილი იქმნება

ტრუბადური

ოპერა 4 სურ, 4 მოქ., მუსიკა ვერდისა

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: გალცინა, სელიუკ-როზენატოვსკაია, სკორუპსკაია; ბ-ნნი: გლადკოვი, კლიუზნერი, გრინევი.

კაპელმეისტერი ბ-ნი ჰოზენი

უფროსი რეჟისორი ბოგოლიუბოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

გამოვიდა და ისყიდება ახალი წიგნაკი

კრება ანუ ბიბლიოთეკის დაარსება

სატირა-პოემა კ. მაყაშვილისა

იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში ქალაქში, ქუთაისში და ბათომში და სხვ.

ფასი ორი შაური.

10—2.

გამოვიდა და იყიდება «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში», „გუტენბერგის“ სტამბაში და ქუთაისს მ. ლაღიძესთან

ორი პუბლიცისტიური წერილი

ო-დის აკაკი წერეთლისა.

ფასი ორი შაური.

(10—5)

გამგეობა

ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა ამით აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 3 დეკემბრისათვის, დანიშნულია წლიური ჩვეულებრივი კრება ხსენებულ საზოგადოების წევრთა. კრება მოხდება ქართულ თეატრის ფოიეში, საღამოს 7 საათზე.

განსახილველი საგნები:

1. განხილვა და დამტკიცება საზოგადოების მოქმედების ანგარიშისა $190^{2}/_{3}$ წლისა.

2. განხილვა და დამტკიცება $190^{3}/_{4}$ წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვისა.

3. არჩევანი სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და ორის კანდიდატისა.

4. არჩევანი გამგეობის შვიდის წევრისა, რადგან ეხლანდელნი წევრნი თანამდებობას თავს ანებებენ და სამის კანდიდატისა.

და 5. არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა. (3—3)

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

ექიმი

ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე.

ნიკოლოზის ქუჩა, № 46.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირადღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. ზ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-თერაპია)

ზ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროთერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

გ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ზ. ა. ნავასარდიანი. 8½—8 ს.

ს. ტ. არჯანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში მსურველთ მასსაჟს, აცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

(წლ.)

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (**Набережная**) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე

ლ. ი. კამოევი. საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილებისა 10—11 საათ.

ა. ზ. მაღალაშვილი. შაკ. და შინაგ. 10—11 ს.

ლ. მ. მონინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროთერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

ზრ. ვ. სოზოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით. ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

საღამოთი:

ა. ზ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ. ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

ტფილისი

⁂ კავკასიის მთავარ-მართებლის თავადის გ. ს. გოლიცინის ჯანმრთელობის ბიულეტენი: ტემპერატურა დილით 37,1, საღამოთი 38,0, მაჯა 68. თვითგრძნობიერება საკმაოდ კარგი აქვს. კანის ცოტაოდენი გამიზეზება ჯერაც არ შეჩერებულა. ხელს აწერენ ექიმები: მალინინი, ჩუდნოვსკი, რუდნევი და გადომსკი.

⁂ დღეს, ოთხშაბათს, კავკასიის მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელი გენერალი ა. ფრეზე მიიღებს მთხოვნელებს თავის სასახლეში, ბარიათინსკის ქუჩაზე.

⁂ იტალიელ კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარის ამხანაგი, ნაცნობი და მეგობარი ლეონკავალოსი და მასკანიისა ამ ჟამად ტფილისშია და კავკასიის ერთა სიმღერების ნოტებზე გადაღებას აპირობს „კავშირისათვის“. ქართულ მუსიკის მცოდნეთაგან მიუწვევია ბ-ნი ი. კარგარეთელი და უთხოვნია შეუკრიბოს, რაც რამ აქამომდე ქართული ნოტები არის დაბეჭდილი ან ხელთნაწერად, ან ჯერ არ დაბეჭდილი. ამასთანავე უთხოვნია და დაუვალებია ბ-ნ კარგარეთლისთვის უგზავნოს იტალიელ კომპოზიტორთა კავშირს, რაც რამ ქართული მელოდიები გადიღება ვისგანმე ნოტებად და საერთოდ ქართულ მუსიკის მცოდნეებმა იქონიონ მიწერ-მოწერა აღნიშნულ კავშირთანაო.

⁂ გუშინწინ, 17 ნოემბერს, ქალაქის საბჭო გამგეობის წევრის არჩევის შემდეგ შეუდგა მომავალის წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას. ქალაქის მოურავი შეეკითხა ხმოსნებს, გსურთ ხარჯთ-აღრიცხვა თავით-ბოლომდე დაწვრილებით განიხილოთ, თუ მხოლოდ საფინანსო კომისიის მოხსენება წაიკითხონ, რადგან ხარჯთ-აღრიცხვა უკვე დაიბეჭდა და დაურიგდა ხმოსნებსაო. ამ შემთხვევაში ყოველ ხმოსანს შეუძლიან თვისი შენიშვნები წარმოსთქვასო. საბჭომ ისურვა ხარჯთ-აღრიცხვის დაწვრილებით წაკითხვა და შეუდგა კიდეც საქმეს.

⁂ ამიერ კავკასიის რკინის გზის სამმართველოს კიდევ აფართოვებენ, ერთს ნაწილს მესამე სართული უნდა დაედგას და ეზოში ახალი შენობები აავონ. ამ საქმისთვის გადადებულია 105,000 მან.

⁂ რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებლის ნაშეგირდალთათვის განსაკუთრებულ წიგნთ საცავს აარსებენ, სადაც სპეციალურ წიგნებსა და ჟურნალებს გარდა გაზეთებიც უნდა იყოს.

⁂ ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების კრებას მოხსენდა, სხვათა შორის, რომ ახლად აგებული სახლი, პუშკინის ქუჩაზედ, სადაც ამ საზოგადოების სამმართველოა მოთავსებული, წელიწადში იძლევა საერთო შემოსავალს 14,480 მანათს, რაც შეადგენს 7% დახარჯულ თანხისას (209,229 მ. 60 კ.) წმინდა შემოსავალი ჯერ ვერ გამოურკვევიათ. იმავე კრებაზედ გადაწყდა, რომ ბანკის დარბაზი და საერთოდ სადგომი ინათებოდეს ელექტრონით და გადასდო ამისთვის 5000 მანათი. კრებას უნდა აერჩია ორი წევრი ზედამხედველ კომიტეტისა ოთხის თვით, მაგრამ შესაძლოდ დაინახა არჩევანი მომავალ კრებაზედ მოახდინოს.

⁂ საერო განათლების სამინისტროს განუზრახავს მომავალ წლიდან აღუკრძალოს მასწავლებლობა, ზედამხედველობა ანუ მეთვალყურობა ქმრიან ქალებს. ამის გამო სამინისტრო დაეკითხა სამოსწავლო ოლქის მზრუნველებს, რამდენად სასურველია განზრახულ განკარგულების აღსრულებაო.

⁂ მესამე განყოფილების მომრიგებელმა მოსამართლემ, თანხმად ნაფიცის ვექილის ყარაბეგოვის საჩივრისა, დამნაშავედ სცნო ექიმი მიკირტიჩიანცი, რომელიც თავის სამკურნალოს მაზუთით ათბობდა და ბოლით ჰაერს აფუჭებდა და მიუსაჯა 100 მანათის ჯარიმის გადახდა და იმ შემთხვევაში, თუ შეძლება არ ექმნება, ორის კვირით დაპატიმრება.

⁂ რუსთაველის ფონდს შესწირეს ძეგლის ასაგებად ს. რუსთავში, დღევანდელ ახალციხის მაზრაში, ა. თ. ყიფშიძემ 25 მან. და ი. დ. ყანჩაველმა—5 მან., რომელიც წინადვე გადაეცა «წ.-კითხვის საზოგადოებას».

⁂ როგორც აღნიშნული გვქონდა, ქუთაისის მოქალაქემ ი. მამაჯანოვმა გამოიგონა პურის სალეწი მანქანა ახალის სისტემისა. პსკოვის გუბერნიის ქალაქ ტოროპეცის მექარხნეს ვლადიმერ ალ. შერაპოვს განუზრახავს ამ სისტემის მანქანების დამზადება თავის ქარხანაში და გავრცელება, უმთავრესად კავკასიაში, რადგან აქ უფრო გამოსადეგი. აღნიშნული მექარხნე შეეკითხა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, შემატყობინეთ ადრესი მანქანის გამომგონის მამაჯანოვისაო.

⁂ ჰფიქრობენ, ხარფუხის სამრევლო სკოლისათვის საკუთარი შენობა აავონ. ამისთვის საეპარქიო საბჭოს აზრადა აქვს, შუამდგომლობა აღძრას უწმ. სინოდის წინაშე 3000 მანეთის გადადების შესახებ.

⁂ ტფილისის დედათა მეორე საკვირაო სკოლის გამგეთ აცნობეს გუშინ ქალაქის გამგეობას, რომ საკვირაო სკოლაში ამ ჟამად სწავლობს 135 ქალი, 97 სომეხი და 23 ქართველი. მოსწავლენი კვირაობით წერა-კითხვასა სწავლობენ, ხოლო საქმის დღეს ქალაქის საპროფესიონალო სახელოსნო სკოლაში — სხვა-და-სხვა ხელ-საქმეს. რადგან 300 მან., რომელიც სკოლას ქალაქისაგან ეძლევა, არა ჰყოფნის, გამგენი სთხოვენ ქალაქს 300 მანეთის ნაცვლად 400 მანეთს.

⁂ კათოლიკეთა პეტრე-პავლეს ეკლესიასთან არსებულ სკოლაში ამ ჟამად სწავლობს 102 ბავშვი, 41 ვაჟი და 61 ქალი. მოსწავლენი უმეტესად ღარიბთა შვილები არიან და ამიტომ სწავლის ფასი 1 მანეთიც ვერ შეაქვთ. სკოლის სამზრუნველო კომიტეტს ყოველ წლობით ეხარჯება 1472 მან. სამზრუნველო კომიტეტმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, ფულით შემწეობა აღმოუჩინოს სკოლას.

⁂ ამას წინად ტფილისის ქალაქის გამგეობამ სთხოვა ავჭალის ქუჩის ცხენის რკინის გზის კონტრაგენტებს, ვაგონების სადგომი, ხიდის ქუჩაზე, მეწოდოვის სახლის წინ, შუა ქუჩაში გაიწიოთ, ასე 2 არშინის სიშორეზე. გუშინ კონტრაგენტებმა შეატყობინეს გამგეობას, რომ ამ წინადადების შესრულება შეუძლებლად მიგვაჩნია, რადგა ქუჩა ვიწროა და, ვაგონების სადგომები რომ შუაზე გაიწიოს, ხელს შეუშლის ეტლების მიმოსვლასაო.

ჩვენებური ამბები

დ. ხონი. ჩვენის ჟურნალ-გაზეთების მკითხველს ექნება გაგონილი, რომ ხონი განთქმული დაბაა იმერეთში. რა სასწავლებელი არ გინდათ, რომ აქ არ იყოს: საოსტატო სემინარია, სამოქალაქო ექვსკლასიანი სასწავლებელი, სახელოსნო სკოლა, კერძო პროგიმნაზია, მარიამის სასწავლებელი, ორ-კლასიანი სასწავლებელი და სხვა.

როგორც ვხედავთ, აქაური გლეხკაცობა სწავლა-განათლებას ძლიერ ეტანება და დიდ ნივთიერ დახმარებასაც აწვდის სკოლების ხელმძღვანელთ. ხონელები ფიქრობენ დააარსონ როგორმე ვაჟების გიმნაზიაც. გიმნაზიის დაარსებისთვის დიდი ხანია აქ ზრუნვაა და შესაძლებელია, რომ ესეც შესძინონ ამ პატარა დაბას.

როგორც სწავლა-განათლების საქმე, ისე მეურნეობაც ცოტათი იჩენს წინმსვლელობას. ეს დაუღალავი, ერთი მუჭა ხალხი მედგრად ებრძვის აქაურ გამოფიტულ ნიადაგს და ყოველ ღონეს ხმარობს მისის გაუმჯობესობისათვის. გამოიყვანეს ცხენის წყლის სათავიდან არხები და წყლის მიერ დატოვებულ შლამ-ტურტლით ანოყიერებენ მიწას. მაგრამ მიწის დამუშავება არის ცოტათი უკან დაყენებული. აქ არავის ფიქრადაც არ მოსვლია გაუმჯობესებულ გუთნის შეძენა და სხვა სამეურნეო იარაღებისა. აქ ისევ მამა-პაპურ კავ-სახნისს ამუშავებენ. მხოლოდ ერთმა აქაურმა მემამულემ ბ-ნმა დიმიტრი ჩხიკვიშვილმა შეიძინა გუთნები, სამარგლავები და სხვა სამეურნეო იარაღი. ბ-ნმა ჩხიკვიშვილმა თვითონ დაიმუშავა 25 ქცევა მიწა და კიდეც მოლოდინი გაუმართლდა. ამ კაცს განუზრახავს კიდეც თავის მამულში მომუშავეთ დაურიგოს სამეურნეო იარაღი, მხოლოდ იმ პირობით, რომ რამდენსამე ხანში დაუბრუნონ თავის ფასი. ეს პირველი მაგალითია ჩვენის მემამულეების მხრივ და ფრიად მოსაწონიც არის.

ბ-ნ ჩხიკვიშვილს აქვს აგრეთვე თავისი ვენახები, სადაც მშვენივრად და თითქმის ახალ სისტემაზედ აქვს გაშენებული: ზოგი ადგილობრივი ჯიშისა და ზოგი დამყნილი საზღვარ გარეთული ვაზი. დამყნილ ვენახმაც კარგი მოსავალი მისცა და ყველა მისი მნახველი აღტაცებულია იმის ნახვით. ბ-ნი ჩხიკვიშვილი ამ საგანშიაც მაგალითი იქნება ჩვენის გლეხკაცობისათვის. მისი ღვინოები საუცხოვო ღირსებისა არის და კარგი ბაზარიცა აქვს მოპოვებული რუსეთში.

პეტრე წივწივაძე.

—

ს. ოზუჯი (ზუგდიდის მაზრა). ერთმა ფილოსოფოსმა სთქვა: ქვეყანაზე ყველა ბრძენი რომ ყოფილიყო, საშინლად მოსაწყენი იქნებოდა წუთი სოფელიო. დიაღ, პატივცემულო მკითხველო, ზოგჯერ სისულელეც კარგია: კაცს გაართობს, გააცინებს მაგრამ ისეთი სისულელე, როგორიც ამ დღეებში ჩაიდინა ერთმა აქაურმა ყმაწვილმა კაცმა—იშვიათია.

მოგეხსენებათ, რომ სამეგრელოში შემოდგომა არის „სეზონი“ ქორწინებისა, ერთმანეთის დაპატიჟებისა და ღვინის სმისა.

წარმოიდგინეთ, მკითხველო, რამდენიმე ათი ქალი და კაცი, ტურფად მორთული, სუფრაზე მსხდარნი: მადიანათ შეექცევიან სადილს, კისკისობენ, ოხუნჯობენ, ღვინოს სვამენ, არშიყობენ. მათთვის წარსული და მომავალი დღევანდელ სიამოვნებას ჩაუყლაპავს,—ისინი სცხოვრობენ მარტო ახლანდელით... ზოგი ერთნი „რეჩებს“ ამბობენ, ქებას შეასხმენ ტურფა ქალებს, მაგრამ, სუ! აგერ მასპინძელი ადგა, ხელში უჭირავს ღვინით სავსე დიდი სტაქანი. ყველა სმენად არის გადაქცეული, „ბ-ნო მ., დაიწყო იმან, ჩემი ძმის მეგობარი და მოყვარე ჩემი მეგობარი და მოყვარე უნდა იყოს. აი ამისთვის გთხოვეთ დღეს ჩემს სახლში მიგერთმიათ მცირე სადილი. სულით და გულით მოწადინებული ვიყავი თქვენთვის შესაფერი საჩუქარი მომერთმია, მაგრამ ჯერჯერობით ვერ მივხვდი, რა გაგიბედოთ. დარწმუნებული იყავით, რომ ჩემგან მიიღებთ ისეთს რასმე, რაც სიკვდილამდი არ დაგავიწყდებათ“! მ—მ მადლობ გადუხადა და გაგრძელდა სმა-ჭამა. გაიარა რამდენმამე ხანმა და ერთმა მერიქიფემ მოუტანა მ—ს (მ. ყმაწვილი კაცია) რაღაც ქაღალდში გახვეული და მოახსენა, მასპინძელმა მოგართვათო. მაგრამ წარმოიდგინეთ მისი განცვიფრება, როცა იმან ქაღალდი გახსნა და დაინახა ძირში წაჭრილი ნეკი მასპინძლისა! მასპინძელს ხანჯლით წაეჭრა თავისი ნეკი და გაეგზავნა მ-სთვის შეუმჩნევლად. მასპინძელი სუსტებოდა, რადგან ბევრი სისხლი დაეკარგა; ყველა გაოცებული იყო. ქალებმა საშინელი წივილ კივილი მორთეს. დაშავებული ძლივს გონს მოიყვანეს და ხელი შეუხვიეს. ყველა უკმაყოფილოდ დარჩა, მაგრამ ყველაზედ უფრო ძნელ მდგომარეობაში იყო მ.

რა უნდა ვთქვა ამისთანა საჩუქრის მირთმევისთვის? შეიძლება ასეთი მოქმედება მასპინძლისა რასმე ნიშნავდა, მაგრამ ჯერჯერობით არ არის გამოაშკარავებული. ამისთანა მოქმედებას, რაც გენებოსთ, ის უწოდეთ, ბატონო მკითხველო.

მარია.

კავკასია

კავკაზში შეუკრებია მთავრობას ცნობანი იმისი, თუ რამდენს მუშაობენ იქ ფოსტის მოხელენი. აღმოჩნდა თურმე, რომ ორთა შუა რიცხვით თითო მოხელე მუშაობს დღე და ღამეში 18 საათს, ხოლო დაბალი მოხელენი—ფოსტალიონები და დამტარებელნი—20 საათსაც!

რუსეთი

საერო განათლების სამინისტრო სცდილობს, სხვა-და-სხვა ღონისძიების მიღებით, გააძლიეროს სწავლა რუსულისა გერმანელ ახალშენთა სკოლებში.

— ყველაზედ მეტი არაყი უსვამს რუსეთში 1901 წლის განმავლობაში პეტერბურგის გუბერნიას. თითოს დაულევია 2 ვედრამდე, 15 მან. 33 კაპეიკისა ერთს წელიწადში.

— მერმის 1 ივლისიდან აღმოსავლეთ სიბირშიც იქმნება შემოღებული ხაზინის მიერ გასყიდვა არაყისა.

— უმეტესი ნაწილი რუსეთის საომარ გემებისა ამ ჟამად პორტ-არტურშია.

— კურსკის გუბერნიაში ძალიან გახშირებულია ტელეფონების მართვა. ორი სამაზრო ქალაქი ტელეფონით არის შეერთებული კურსკთან. შვიდი სხვა კიდევ ამასავე მოახერხებს სულ ახლო მომავალში. ყველა ტელეფონით არის აქ ახლა გატაცებულიო.

— ნიჟნი-ნოვგოროდის ქალაქის მოურავს სთხოვეს, მოახსენე საბჭოს, რომ საჭიროა ქალაქის თვით-მმართველობამ იკისროს ბრძოლა გაძლიერებულ ლოთობის წინააღმდეგაო.

— რკინის გზის გაყვანის გამოსაკვლევი მუშაობა კიახტიდან პეკინამდე გათავდა. ახალის გზის სიგრძე იქნება 1,500 ვერსი.

— იალტის მხარეს დაეკითხნენ გლეხკაცობას, რას ფიქრობთ, როგორ უნდა ვეწინამღდეგოთ ცხენების ქურდობასაო. ერთს სოფელში უთქვამთ, ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს, ქურდი იქვე მოვკლათ, საცა მოვასწრობთ ქურდობაზეო, ბოლო ვინც საეჭვოა, მოვკლათ მაშინ, როცა დამტკიცდება, რომ ნამდვილად ქურდები არიანო.

— ტვერის სამაზრო საერობო კრებას ხმის უმეტესობით დაუდგენია, საერობო სკოლები გადავცეთ სამღვდელოებასაო. ცხარედ ულაპარაკნიათ ასეთის წინადადების შესახებ რამდენსამე ხმოსანს, მაგრამ ვერა გაუწყვიათ-რა. იმავე კრებაზედ გადაუწყვეტიათ, სამკურნალო ქსენონები ფელდშრებს ჩავაბაროთო. გადასწყვიტეს აგრეთვე, გავაუქმოთ თანამდებობა საერობო აგრონომისაო.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს განუზრახავს, ვიდრე ახალი საგლეხო დებულება შესდგება, ცოტაოდენი რამ ცვლილება შეიტანოს საგლეხო თვით-მმართველობაში. ეს ცვლილება ის იქმნება, რომ ჯამაგირების დანიშვნა სტაროსტებისა და მამასახლისებისათვის, აგრეთვე სხვა ამორჩევით მსახურთათვის, დამოკიდებული იყოს საერობო უფროსთა კრებაზეო. ბევრნი წინააღმდეგნი არიან ასეთის განზრახვისა: თუ თვით-მმართველობაა, თვითმმართველობა იყოს და გლეხთ თვითონ უგდონ ყური თავიანთ საქმეს და თვითონვე უნიშნონ ჯამაგირი მოხელეთ იმდენი, რამდენსაც საჭიროდ დაინახავენო. თვისის შეძლებისა ყველამ თვითონ უფრო იცის, ვიდრე სხვამაო.

— 23 ნოემბერს ორიოლში განზრახულია პატივი სცენ ამ გუბერნიის შვილის პოეტის ტიუტჩევის ხსენებას მის დაბადების ასის წლის შესრულების გამო. სხვათა შორის განზრახულია სკოლების შეგირდებს დაურიგონ პატარა წიგნები პოეტის სურათით, მოკლე ბიოგრაფიით და 12 ბავშვებისთვის შერჩეულის ლექსით. სულ რიცხვი ამნაირის შეგირდებისა არის 97.933 ორიოლის გუბერნიაშიო.

— პოდოლიის გუბერნატორი აცხადებს, რომ არავითარი ყურადღება არ მიექცევა ხელ-მოუწერელს საჩივრებსაო. ვისაც უნდა, შეუძლიან პირდაპირ იჩივლოს და თავისი საჩივარი ან სიტყვიერად მიამბოს, ან წერილით გამომიგზავნოსო.

— გენერალ-მაიორმა მალცოვმა, რომელსაც ქარხნები ჰქონდა ორიოლისა და კალუგის გუბერნიაში, შესწირა რამდენისამე სოფლის გლეხობას სწავლა განათლების საქმეზე მოსახმარებლად ფული, რომელიც ახლა 362,150 მ. გამხდარა. ეს ფული ახლა განაწილებულ უნდა იქმნას სოფლებ შორის და გამოირკვეს წესი მათის ხარჯვისა და მოხმარებისა, შემწირველის სურვილის თანახმად.

— პოლტავის სათავად-აზნაურო კასას ურთიერთის დახმარებისას, დასაარსებლად განზრახულს, მიეცემა ხაზინიდან სამუშაო თანხად 250,000 მ., ხოლო ყოველ წლივ შესაწევრად 11,062 მ.

— სიბირიდან წასულა პეტერბურგს გენერალ-გუბერნატორი ირკუტსკისა გრაფი პ. ი. ქუთაისოვი და, როგორც ამბობენ, თან წაუღია პროექტები საერობო დაწესებულებათა შემოღებისა სიბირში.

—

წყალ-დიდობა პეტერბურგში

(წერილი პეტერბურგიდგან)

11 ნოემბერს ღამის თერთმეტ საათიდგან მდინარე „ნევამ“ იწყო მატება დიდის სისწრაფით; ნაშუადღევის სამ საათიდგან მოისმა ზარბაზნების ხმა პეტრე-პავლეს ციხიდან და რითაც აცნობეს პეტერბურგის მცხოვრებთ წყლის მოდიდება, რადგან ამისთანა შემთხვევის დროს დიდი უბედურებაა ხოლმე პეტერბურგში და მის გარშემო.

დილის ოთხ საათზედ ყოველი მცხოვრები პეტერბურგისა ფეხზედ იდგა და დიდის გულის ფანცქალით ადევნებდა თვალ-ყურს წყლის თანდათან გაძლიერებას. საშინელება იყო პეტერბურგის ქუჩები, სადაც წყალი იდგა საჟენზედ მეტ სიმაღლეზე დილის რვა საათამდე; ხოლო რვა საათიდგან უფრო ძლიერ მოიმატა წყალმა, რის გამო ქვედა სართულები სულ აავსო წყლით და მცხოვრებნი იძულებულნი გახდნენ დაეცალათ სახლები. ქუჩებში ვერავინ ვერ ბედავდა გასვლას, რადგან წყალი უფრო მატულობდა, ამ გვარად წყალმა წაღეკა „ტროიცკის ხიდიდგან დაწყებული მთელ პეტერბურგის მხარეზე მდებარე ქუჩები, სასახლიდგან—„ვასილიევის კუნძული“ და „გალერნაია გავანი“, ისე, რომ უხომალდოთ და უნავოთ მოძრაობა შეუძლებელი შეიქნა.

დილის თერთმეტ საათზედ მეეზოვეთა შემწეობით დაიწყო ქუჩებზე მოძრაობა მხოლოდ ნავებით და ყველა ეზიდებოდა საჭმელ-სასმელს და ამზადებდა შემდეგისათვის საზრდოს.

როგორც ტელეფონებით იუწყებიან, დიდი ზარალი მისცემიათ მცხოვრებთ, უმეტეს ნაწილად „გალერნაია გავან“-ის მცხოვრებთ, სადაც ადგილი ძლიერ დაბალია. ამბობენ კიდევ, რომ „ვოლკოვის სასაფლაო“ სულ მთარიადა წყალმა და კუბოები ამოჰყარაო.

მთელი ღამე ძლიერი ქარი ჰქროდა და ბალტიის ზღვის ტალღებს პეტერბურგს ახეთქებდა მეორე დღეს საღამომდის. საღამოს სამი საათიდგან წყალმა იკლო და უკვე შეიძლებოდა გავლა ქუჩაში, თუმცა კიდევ საშიში იყო. „ბირჟევოისა“ და „დვორცოვის“ ხიდები თითქმის ოთხ საჟენის სიმაღლეზე ასწია (ეს ხიდები ყოველთვის ნავებზე სდგანან). უნივერსიტეტი მთლად წყალშია.

12 ნოემბერს საღამოს ექვსის საათიდგან კიდევ ისმოდა ზარბაზნების ხმა.

სილოვან ლაჭყეპიანი.

უცხოეთი

იაპონია. გაზ. „ნოვ. კრ.“-ის სიტყვით, იაპონიის ჟურნალ-გაზეთობას ჯერ კიდევ საეჭვოდ მიაჩნია, რომ მანჯურიისა და კორეის საქმეები მშვიდობიანად დაბოლოვდესო.

„რუსეთ-იაპონიის თათბირმაო - ამბობს გაზეთი „ჯიჯი—შიმპუნი“—მაინც და მაინც ბევრად ვერ გააუმჯობესა რუს-იაპონელთა გამწვავებული ურთი-ერთობაო. გარდა ამისა, საპოლიტიკო სურათი შორეულ აღმოსავლეთისა წარა-მარა იცვლებაო: ინგლისი და ამერიკა, რომელნიც ჩვენი თანამოაზრენი არიან, თანდათან აძლიერებენ თავიანთ დიდ ოკეანეს ფლოტსა; გერმანიაც სცდილობს რუსეთის გავლენის შემცირებას; მხოლოდ ერთად-ერთი საფრანგეთი არ ჰღალატობს თავის მოკავშირესაო.

ამ გვარად სამთა კავშირი დაკემას უქადის რუსეთის გავლენას შორეულ აღმოსავლეთში. ვერ ვიტყვით, რომ მისი ახლანდელი მდგომარეობა მაინც და მაინც სახარბიელო იყოსო.

ამასთანავე ისე ამაყად იქცევა, თითქოს განზრახ უნდოდეს მშვიდობიანობის დარღვევა და საპოლიტიკო ასპარეზზე ცეცხლის გაჩენაო. რუსეთი ისეთ მზადებაშია, რომ სრულად აღარ მიაჩნია ტრაგიკული დასასრული ამ საერთაშორისო მოცილეობისა: ამაგრებს ნავთსადგურებსა, თავს უყრის ჯარებსა და სხ.

ზოგნი ჰგონებენ,—რუსეთი და იაპონია კიდეც რომ შეთანხმდნენ, შორეულ აღმოსავლეთში კიდევ უფრო აიწეწება საქმეები და ისეთი ვინმე აიმაღლებს ხმას, რომ ყველანი ჩაჩუმოსო. ჩვენ ჯერ არა ვიცით-რა, რამდენად საფუძვლიანია ეს ხმა.

ყოველ წლობით მატულობს იმ მიზეზთა რიცხვი, რომელნიც იწვევს ერთა შორის შეტაკებას. ამიტომაც საჭიროა ისეთ ღონისძიებას მივმართოთ, რომ თავიდგან ავიცილოთ მომავალი უბედურობა.

რუსეთ-იაპონიის საქმეები ასე ადვილად არ დალაგდება, და ამისათვის ჩვენი მთავრობა ახლავ უნდა დაადგეს მტკიცე გარდაწყვეტილებას და არ უღალატოს იმ გზას, რომლითაც საჭიროა სვლა ჩვენის ეროვნულ ინტერესების განსავითარებლად.

საზარელი და საშინელი იქნება ის საათი, როდესაც ომის გრიგალი დაჰბერავს და ერთმანეთს შეახეთქებს საფრანგეთსა და ინგლისს, იაპონიასა და რუსეთს, გერმანიასა და ამერიკას.

ვინ იქნება მაშინ საერთაშორისო უფლებათა მოსამართლე? ვინ იცის, რა მოგველის მომავალში! გავიმარჯვებთ და გავლაღდებით, თუ დავმარცხდებით და დავეცემით?!“.

იტალია. რომის სასამართლოში ირჩეოდა გაზ. „ავანტის“-ს რედაქტორ ფერრის საქმე, რომელმაც ცილი დასწამა ზღვათა მინისტრს, ადმირალს ბეტტოლოს.

ჩვენებას აძლევდა ერთი ფრიად დიდი მრეწველი ორლანდო. ადმირალის ვექილი, ვეკკარი შეეკითხა მოწმეს.

— არ შეგიძლიანთ გვაუწყოთ—რა აზრით დასწამა ცილი ფერრიმა და გაზ. «ავანტიმ» ბეტტოლოს?

ეს სიტყვები ფერრიმა და მისმა მომხრეებმა მეტად იწყინეს და ყიჟინა დასცეს:

— ჩვენ ცილის მწამებელნი-კი არა, ნამდვილის მთქმელნი ვართ. თითონ თქვენა გვწამებთ ცილსაო.

ბეტტოლოს რწმუნებულთ სიტყვასავით მიაყარეს ლანძღვა-გინება ფერრისა და მის დამცველთ. ამ აურ-ზაურის დროს ბეტტოლოს ბანაკიდამ ვიღამაც შესტყორცნა მოპირდაპირეთ მოზრდილი სამელნე. დალოცვილს მარჯვენამაც არ უმტყუნა! სამელნე წავიდა ბზრიალით და მოჰხვდა პირში ფერრის დამცველ ვექილს კომანდინს. ერთი კბილიც ჩაამტვრია. კომანდინმაც სტაცა ხელი მეორე სამელნეს და ვექილ ვიტტორის შესტყორცნა. აირია მონასტერი. სამელნეების ზუზუნმა ყურთა სმენა წაიღო. ამას მოჰყვა მუშტი-კრივი და სკამების სროლა. საბრალო თავმჯდომარე მიკუნჭულიყო კუთხეში და ამაოდ აწკარუნებდა ზარსა. ბოლოს სასამართლოს დარბაზში მედიდურად შებრძანდა გვარდია და მსროლელთა რაზმი; ძლივ-ძლივობით გამორეკეს გარედ გაფთრებულნი მოჩხუბარნი.

სხდომა ძალა-უნებურად შესწყდა და შემდეგისათვის გადაიდო. მებრძოლნი მელანში ამოსვრილები დაბრუნდნენ შინა.

ნარკვევი

ლიბავის საკომერციო სკოლიდან წაუყვანიათ შეგირდები საექსკურსიოდ მოსკოვში. შეგირდებ შორის ყოფილან ებრაელი ბავშვებიც. პოლიციას არ მიუციანება, მოსკოვში ებრაელებს შემოსვლა აკრძალული აქვთო. ამ საგნის გამო «ს.-პეტ. ვედ.»-ში დაბეჭდილია წერილი ბელოსტოკის საკომერციო სასწავლებლის დირექტორისა. დირექტორი სწერს:

ფელეტონი

მუშაობდი?

(ადა ნეგრიდამ)

შეგვყარებივარ, მხურვალე კოცნას
მოელი ჩემგან აღტაცებული,
შენ გსურს ალერსი და სიყვარული
სპეტაკი, ნაზი ვით გაზაფხული.

—

მაგრამ მითხარი: ჰფიქრობდი როსმე,
ანუ შეჰბმიხარ ძლიერს ცხოვრებას?
ანუ, ვით ხდალი, არ დაცემულხარ,
როს შესდგომიხარ ძნელ, ეკლიან გზას?

—

დაკორძიულზე შეგატყობ ხელზე:
გიყვარს თუ შრომა პატიოსანი?
გადიხსენ გული, მიამბე ყველა:
მოძმეზედ ზრუნვა, მისთვის ტანჯვანი...

—

სდუმხარ... წითლდები... შორს ჩემ
მკერდიდამ!
წადი, იგემე კვლავ ფუფუნება,
დიაცთ-დაცემულთ ესიყვარულე...
ოქროს არ ძალუძს ჩემი მონება!

—

ოდეს გაპოხილ გრძნობით აღვსილი,
ტანჯვით და შრომით ხელ-სისხლიანი
ალერსს, სიყვარულს ჯილდოდ მომთხოვდი
კაცად ქცეული, ადამიანი;

—

ოდეს სიმდიდრეს და ფუფუნებას
ზიზღით, სიცილით უკუაგდებდი
და ავს ცხოვრებას, მოძმეთ გულისთვის,
ჰკუით, გმირულად გაუმკლავდები;

—

მაშინ მადლობით, შენით ამაყი
ოფლიან ბაგეთ დაგეკონები,
გულს ფარად მოგცემ, მკერდს—ფიანდაზად,
თავს განაცვალებ, მტლად დაგედები...

—

ეხლა-კი... მძაგხარ, ზარმაცო, უქმო!
ტყუილად სცხოვრობ და მზეს უყურებ.
დეე, ცხოვრებამ გაგანებივროს!..
წადი... ჩემგან მეტს არას მიიღებ.

ა. მ.

ჯილდო.

— თებროლე! თებროლე! მოი აგერ ელანძე, რა გახარო!—დაუძახა პავლია მნათემ ერთ მშვენიერ საღამოს ცოლს, რომელიც იქვე ეზოში ფუსფუსებდა, და ჯორიდან ჩამოხდა.

— რაია ამისანა, რა უნდა მაააროს?!—გაკვირვებით შეეკითხა ეზოდამვე თებროლე და თვალის დახამხამებაში ქმართან მიიჭრა.

— ჰმ, რაია ამისანა!?

— ჰო, რაია, მითხარი ბარელამ.

— რაი და გავბედნიერდით თებროლე, გავბედნიერდით!.. აწი ვაგლახათ ჩვენთან ფეხს ვეღარავინ წამოწვდის, ხმა-მაღალ სიტყვას ვერავინ გაგვიბედავს, ჩვენი შიში, მორიდება და პატივის-ცემა ყველას ექნება, ერთი სიტყვით, ჩვენ მეფე ვიქნებით ამ ჩვენს სოფელში, მეფე...

— რითი კაცო, აღარ იტყვი?!

— რითი და კაცი რო გონიერი იქნება, ჰკვიერი და მოხერხებული, იმას ღმერთიც წყალობს, ხემწიფეც, ობერ-პროკურორიც, ბლაღოჩინიც და მღვდელიც...

— ადამიანო! მითხარი ბარელამ რაცხაა, ნუ მაჩერებ აქანეი, საქმე მაქ ეზოში,—მოუთმენლად ეკითხებოდა თებროლე ქმარს და სახეზე თვალს არ აშორებდა.

— ოო, ასე კაია კაი კაცების ნაცნობობა, პატივის ცემა! ხომ გაჰქრა ჩემმა იღბალმა: მენდალი მომსვლია...

— მართლა ამბობ, კაცო?!

— მართლა გეუბნები, ჩვენმა მღვდელმა მითხრა.

— უი, შენ-კი შამოგებლოს თავზე თებროლეი!.. ჩამოჩინჩული ვიყავით აგერ უბრალო ყაბახივით და ყველეი ფეხს გვაპირებდენ, აპა, აწი გაბედონ რამე, რაღანც ამისანა წარჩინება მომასტრო ღმერთმა შენი... ი ნასტავლები რო ბოდიალობენ: „სიზმარი ტყუილი არისო“, სწორედ არაფელი არ დეეჯერებათ იმგენს! წუხელი დამესიზმა, ვითამ ჩვენ ორივე ვწუხდით რაცხას და აგერ ღმერთმა სიხარულათ აგვიხდინა.

— ოი, დეილოცა ღვთის სახელი, იკურთხა მისი განგება, რო საწყალ კაცს ყოლიფერში ხელს უწყობს, ეხმარება და წალმართ გზაზე აყენებს... რომ მე ღვთის შეწევნით იმდენი ნიჭი და მოხერხება არ მქონოდა, მაშინ ხომ არაფელ წარჩინებას არ მივიღებდი და მუდამ ისე უბრალო ყაბახივით ვიქნებოდი?! აპა, ახლა დატრიალდი თებროლე და იმისანა ძღვენი გავამზადოთ, რო ბლაღოჩინს მეეწონოს; დალოცა ღმერთმა, ღვინო კაი მაქ, ორი დედალი დავკლათ და გვრალათ მოვხარშოთ, ხაჭაპურები დააცხვე და ასე გავქიქკნოთ ხურჯინი. დილას უთენეი უნდა გავქუსლო ჩემი ჯორით ბლაღოჩინთათ, იმას ქონია ჩემი მენდალი.

— კი, კი, ასე ვქნათ, გადმეიკიდე ბარემ გულზე მენდალი და დოუყენე მტერებს თვალები.

იმ ღამეს მართლაც მშვენიერი ძღვენი მოამზადეს.

—

ჯერ კიდევ დილის ექვსი საათი არ იქნებოდა, რომ პავლია მნათე თავის თაგვის-ფერ, ფერდებ შემხმარ ჯორს სავსე ხურჯინითურთ სოფ. ნ...ის ოღრო-ჩოღრო გზაზედ მიათოხარიკებდა, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, მიაჩიქჩიქებდა.

ამტკუნებენ ლიბავის საკომერციო სასწავლებლის მთავრობას, კანონს ყური არ ათხოვაო, თუმცა თანვე ამბობენ, ადამიანის სიცოცხლე არ კმარა ებრაელთა შესახების ყოველ ცირკულიარის შესასწავლადაო და ამით ბოდიშს ჰხდიან სასწავლებლის მთავრობას. მაგრამ, ვსთქვათ, მთავრობამ იცოდა კიდეც, რომ მაგისთანა კანონი არსებობს. მერე რა უნდა ექმნა? უნდა ნებართვა ეთხოვათ, იტყვიან. მე ვითხოვე, მაგრამ პირდაპირ უარი მითხრეს, ვერ მოგცემთ ნებას, ებრაელი შეგირდები მოსკოვში წაიყვანოთო. უნებურად უნდა დაასკვნა, რომ დასავლეთის სანაპიროდან ექსკურსიით ვერ წახვალ მოსკოვს. მაშ, სად უნდა წახვიდე განაპირა ქვეყნიდან, თუ არ რუსეთის შუა-გულს—რუსეთის ისტორიულ ცხოვრებისა და კულტურის შუაგულს? გული სტკივა რუს-ხელმძღვანელს განაპირების სკოლისას, როცა ჰგრძნობს, რომ თვისის ზნეობრივისა და იურიდიულის პასუხის-მგებლობით არ შეუძლია აღსაზრდელ ახალთაობას აჩვენოს აკვანი და კერა რუსეთის სახელმწიფოს ძლიერებისა თვისის ისტორიულის ძეგლებით. ჩვენ, და არა სხვას, აქვს მონდობილი განგებითა და მოწოდებით დიდი ზრუნვა მტკიცე სულიერის კავშირის დაარსებისა განაპირა ქვეყნებსა და რუსეთის შუა-გულს შორის. ბოლოსა და ბოლოს ჩვენა ვართ მოვალენი ჩავუნერგოთ ჩვენს შეგირდებს სიყვარული რუსეთის ერისა და მისის ქმნილების—სახელმწიფოს მიმართ.

გვაჩვენეთ მაინც გზა ჩვენ, ვისაც ამდენი გვეთხოვება, რა ვქნათ და რა გზას დავადგეთ: ვემსახუროთ ჩვენს უმაღლეს მოწოდებას და განაპირად ვზარდოთ ერთგულნი შვილნი სამშობლოსი, თუ მიზეზიან საკანცელარიო ფორმალიზმს ვემსახუროთ და ვზარდოთ მტერნი ჩვენის ქვეყნისა? ნუ თუ ამ მეორე გზით უნდა ვიაროთ?

თეატრი და ხელოვნება

ქუთაისი. პარასკევს, 14 ნოემბერს, დრამატიულ დასის მიერ, ბ-ნ გუნიას რეჟისორობით, წარმოდგენილ იქმნა 4 მოქმ. კომედია ზუდერმანის «პატიოსნება». საზოგადოდ პიესამ ძალიან კარგად ჩაიარა. ყველას ეტყობოდა ცდილობა. როლებიც კარგად იყო დანაწილებული, ასე რომ ასე კარგად მომზადებულ მსახიობთ პირველად ვხედავდი სცენაზე. ყველა სცდილობდა თავისი როლი ეთიდ სინიდისიერად შეეთამაშნა და ანსამბლისათვის ხელი არ შეეშალა. საუცხოვო რამ იყო ბ-ნი გუნია გ. ტრასტის როლში და გრიმიც მშვენიერი ჰქონდა. კარგი იყო ქ. ივანიძე დედის როლში, რისთვისაც უხვი ტაშის ცემით და ვაშას ძახილით იქმნა საზოგადოებისგან დაჯილდოვებული. კარგი იყო ბ-ნი ბალანჩივაძეც რობერტის მამის როლში, მხოლოდ ხშირად ავიწყდებოდა, რომ ის კოჭლი იყო; ხან-კი ისეთ ნაირად ჩაიკოჭლებდა, რომ საზოგადოებას სიცილს ჰგვრიდა. მხოლოდ ბ-ნმა დ. ჩარკვიანმა არ იცოდა თავისი როლი, რაც არ ეპატიება ახალ-გაზრდა მსახიობს. გამოდის ისეთ სავალდებულო როლში, როგორიც არის „რობერტი“, და როლი არ იცის. იმედია, აწი მაინც დასწავლის სიზარმაცეს და როლის უსწავლელი სცენაზე არ გამოვა.

წარმოდგენას ხალხი მეტად ცოტა დაესწრო, მაგრამ, ვინც დაესწრო, ნასიამოვნები აბრუნდა შინ.

Alliense.

ბიბლიოგრაფია

მოკლე ისტორია საქართველოსი სურათებით, შედგენილი ვ. ო. ურუშაძის მიერ. ტფილისი 1903 წ.

ხალხის თვითცნობიერების გასაღვიძებლად აუცილებლად საჭიროა ამ ხალხმა იცოდეს თავისი წარსული, თავისი ისტორია. ისტორიული მეცნიერება მეტად რთული საგანია. ჯერ კიდევ შორსაა ის დრო, რომ ისტორიული მეცნიერება გასაზოგადოდეს, ხალხის უმრავლესობის სისხლ-ხორცად გარდაიქცეს. კაცობრიობის გზაზე მრავალი ისეთი ხანაა, რომელიც ისტორიულ მეცნიერებას ჯერაც კიდევ სავსებით არ გამოუკვლევია, თავისი უკანასკნელი სწორი სიტყვა ჯერაც კიდევ არ წარმოუთქვამს. მსოფლიო ისტორიაში მრავალი ისეთი ხანაა, რომელიც ჯერ კიდევ ისტორიკოსთა შორის სადავო საგნათ გამხდარა. თუ-კი მსოფლიო ისტორიას, რომლის კვლევა-ძიებას მრავალი მეცნიერი დაუღალავად ეწევა, ესეთი ნაკლი თანა სდევს, რაღა ითქმის საქართველოს ისტორიის შესახებ. ჟამთავითარების გამო საქართველოს ისტორიის შესწავლა მეტად სამძიმო საგნად გარდაიქცა. ამიტომაც ჩვენის წარსულის, ჩვენის ისტორიის შესახებ, არა თუ მდაბიო ხალხს, ინტელიგენციასაც-კი სულ მცირე ცოდნა მოეპოვება. გაგონილი გვაქვს სხივ-მოსილი სახელი თამარ მეფისა, დავით აღმაშენებელისა და მრავალ კიდევ სხვა მნათობთა ჩვენის ისტორიისა, მაგრამ ჭეშმარიტი მნიშვნელობა ამ გვირგვინოსანთა მოღვაწეობისა უმეტეს შემთხვევაში სავსებით ვერ გაგვითვალისწინებია, ვერ შეგვისწავლია პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური თანდათანობითი განვითარება ჩვენის ქვეყნისა. მიზეზი ამ სამწუხარო გარემოებისა მრავალია, მხოლოდ ყველაზე უფრო თვალსაჩინო მიზეზი ისაა, რომ ცნობანი ჩვენის ისტორიის შესახებ შეუმუშავებელი და გამოუკვლეველია, მეცნიერულ კრიტიკის თვალით ჯერ კიდევ განუსჯელია. და მართალია, დიმიტრი ბაქრაძეს, ჟორდანიას, წერეთელს, ექ. თაყაიშვილს, მოსე ჯანაშვილს, კარიჭაშვილს და სხვ. დიდი სამსახური მიუძღვით ჩვენის ისტორიის წინაშე, მაგრამ ამ მოღვაწეთა ნაწარმოებს ჯერ კიდევ სამასალო ხასიათი აქვს. მართალია ამ მწერალთა ნაწარმოებშიაც მრავალი ისეთი წერილებიც მოიპოვება, რომელიც შეურყეველ და სწორ ისტორიულ ფაქტებზე დამყარებული, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ნაწერები ათას სხვა-და-სხვა ადგილასაა გაბნეული, ასე რომ უმრავლესობისათვის ხელმიუწდომელია. ამიტომ აუცილებლივ საჭიროა ყველა ის ცნობანი ჩვენის წარსულის შესახებ, რაიცა დღემდის უტყუარ ფაქტადაა აღიარებული ჩვენის ისტორიკოსების მიერ, შეგროვილ იქმნას და გასაგების, მარტივის ენით მიეწოდოს ხალხს.

ამგვარის საშუალებით ხალხი უფრო მეტის ყურადღებით, უფრო მეტის სიყვარულით მოეპყრობა თავის წარსულს და ბოლოს იმდენად განივითარებს გემოვნებას, რომ შემდეგ მეცნიერულ ენით დაწერილ გამოკვლევებსაც-კი დიდის სიამოვნებით დაეწაფება.

სწორედ ესეთი აზრი ჰქონია ბ ნ ვ. ო. ურუშაძეს, როცა ჩვენ მიერ ზემოდ ამოწერილ წიგნის შედგენა განუზრახავს. „ამ წიგნაკის შემწეობით“,—განაგრძობს სხვათა შორის ავტორი წინასიტყვაობაში: „ჩემი სურვილია, გასაგები ენით და სისტემატიურად გავაცნო მკითხველს ჩვენი ისტორიული ცხოვრების უმთავრესი ფაქტები“. ამნაირად ავტორი წიგნის შედგენის დროს ორი უმთავრესი აზრის განხორციელებას სცდილა: ჩვენი ისტორიული ცხოვრების უმთავრესი ფაქტების სისტემატიურად განმარტებას და ამ ფაქტების გასაგების ენით მოთხრობას. მოკლე წინასიტყვაობის შემდეგ, საცა წიგნის უმთავრესი დანიშნულებაა აღნიშნული, ავტორი პრაგმატიულ ისტორიის გადმოცემას იწყებს შემდეგის სათაურებით: „ეხლანდელი საქართველო, ქართველები სამეფოს დაარსებამდი, პირველი მეფე საქართველოში, მეფე ვახტანგ გორგასლანი, მეფე დავით აღმაშენებელი. თამარ მეფე, შამქორის ომი და სულთან ნუქარდინის დამარცხება, შინაური მდგომარეობა საქართველოსი და სიკვდილი თამარისა, შოთა რუსთაველი, მონგოლთა შემოსევა საქართველოში და დიმიტრი თავდადებული, გიორგი ბრწყინვალე და თემურლენგის შემოსევა საქართველოში, საქართველოს დანაწილება და ამის შედეგი, ვახტანგ მე-II-ე, მწიგნობრობა მე-XVIII საუკუნეში, ერეკლე მე-II-ე და საქართველოს რუსეთთან შეერთება. პატარა წიგნის ფორმატში, რომელიც შეიცავს 72 გვერდს, ჩართულია სურათები: წმიდა ნინოსი, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, შოთა რუსთაველის, ვახტანგ მეექვსესი, ერეკლე მეორესი და გიორგი მეთორმეტესი.

პირველი თავისი აზრი ავტორს თითქმის განუხორციელებია იმ მხრით, რომ წიგნაკში მოთავსებულია მართლაც თვალსაჩინო ხანები ჩვენის ისტორიისა, რომლის ცოდნა აუცილებლად სავალდებულოა თვითოეულ ჭეშმარიტ ქართველისათვის. მხოლოდ სამწუხარო და სავალალო ისაა, რომ ავტორი მკრთალად და გაკვრით ასურათებს თვითოეულს ხანას. პატივცემული ავტორიც უთუოდ დაგვეთანხმება, რომ ამა თუ იმ ერის ისტორია, ამა თუ იმ ხანის ისტორიულად დასურათება უნდა შეიცავდეს პოლიტიკურ, ეკონომიურ და მოქალაქობრივ წეს-წყობილების თანდათანობის განვითარების სწორს და ნამდვილს სურათს, და არა მარტო ამა თუ იმ გვირგვინოსანის გამეფებას ან გალაშქრებას რომელსამე მეზობელ ერზე. ჭეშმარიტი ისტორია უბრალო გლეხის კარებსაც-კი ფარდას უნდა ხდიდეს და გამოქონდეს საქვეყნოდ თავის პირუთვნელ ფურცლებზე ამ დაუღალავ მუშაკის სოციალური და მოქალაქობრივი მდგომარეობა. ისტორია თავის უმთავრესს დანიშნულებას ღალატობს, როცა მარტოოდენ გვირგვინოსნების და წარჩინებულ გვამთა ამბების მოთხრობას ალევს თავის ძალ-ღონეს. თუ რომ ამ მხრით გავითვალისწინებთ ისტორიის მნიშვნელობას, ადვილად დავრწმუნდებით, რომ ბ-ნ ვ. ო. ურუშაძის მიერ შედგენილ „მოკლე ისტორია“ში მცირე ადგილი აქვს დათმობილი საქართველოს წარსულ პოლიტიკურ, ეკონომიურ და მოქალაქობრივ წეს-წყობილებას. ბ-ნი ვ. ურუშაძე ისეთი თვალ-საჩინო ეპოქების შესახებ, როგორიცაა, მაგალითად, დავით აღმაშენებლის დრო, თამარ მეფისა, გიორგი ბრწყინვალესი და სხვათა—გვამცნებს მხოლოდ, როგორ გამეფდნენ მოხსენებულნი გვირგინოსანნი, ვის, სად და ან როდის ეომებოდნენ, ვინ სძლიეს ან ვისაგან იქმნენ ძლეულნი. მართალია ამ ფაქტების ცოდნა ფრიად საჭიროა, მხოლოდ ამავე დროს მკითხველის გონებას გაუგებრად რჩება საქართველოს ამა დროის პოლიტიკური, ეკონომიური და მოქალაქობრივი ფიზიონომია. ავტორს საგნის ამ მხრით განმარტებისათვის უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცია და მაშინ წინასიტყვაობაში დასახული პირველი აზრი სავსებით განხორციელებული ექმნებოდა.

ჩვენის წარსულის ისტორიიდან საქართველოს რუსეთთან შეერთება დიდ-მნიშვნელოვან ფაქტად უნდა ჩაითვალოს. წიგნაკის უმთავრესი დანიშნულებაა მდაბიო ხალხს გააცნოს ჩვენის ისტორიის უმთავრესი ფაქტები, მაშასადამე ამ დიდ მნიშვნელოვან ფაქტის მხოლოდ ორიოდე სიტყვით მოხსენება, როგორც ამას ბ-ნი ვ. ურუშაძე ნებულობს, დიდი დანაშაულობაა. ამ ისტორიულ ფაქტს ღირსეული აწონ-დაწონვა ესაჭიროვებოდა. ხალხმა საჭიროა იცოდეს, როგორ მდგომარეობაში იყო საქართველო რუსეთთან შეერთების წინა ხანებში, რა გარემოებამ აიძულა რუსეთს შეერთებოდა და როგორის პირობით შეუერთდა იგი რუსეთს. ყველა ამ ფაქტების ისტორიულის საფუძვლის მიხედვით განმარტება ხალხისათვის მეტად საჭირო იყო. ამ საკითხის შესახებ ვრცელი და საბუთიანი წერილი ჰქონდა დასტამბული „იურიდიულ მიმოხილვაში“ აწ განსვენებულ მ. ხელთუფლიშვილს. ამავე საგნის შესახებ მთელი წიგნი დასტამბა 1901 წელს ბ-ნ ზ. ავალიშვილმა, საცა ავტორი დაწვრილებით იხილავს მთელის საქმის ნამდვილს ვითარებას. ჩვენის აზრით, მეტად საჭირო იყო, ბ-ნ ვ. ურუშაძეს თავის წიგნაკში მოკლედ ემცნო მკითხველ საზოგადოებისათვის მოხსენებულ ავტორთა უმთავრესი საფუძველნი დასახელებულ საკითხის განმარტებისა.

ავტორს უთუოდ მეტის სიჩქარის გამო ერთი დიდი შეცდომა მოსვლია. წიგნაკის მეხუთე გვერდზე სხვათა შორის სწერს: „მთელს საქართველოში ორ მილიონამდე მცხოვრები იქმნება... დასახლებულია ქართველთაგან, რომლებიც მართლ-მადიდებელი ქრისტიანები არიან და ლაპარაკობენ ქართულ ენაზედ“. ეს სტრიქონები რომ რომელსამე პოლიტიკან მწერალის კალამს ეკუთნოდეს, მაჰმადიან ქართველების საქართველოს ტერიტორიიდან განდევნისათვის საკადრისს პასუხს მიუძღვნიდნენ პოლიტიკან მწერალს, მხოლოდ ვ. ო. ურუშაძეს, ვგონებთ, მარტოოდენ უსაყვედურებენ ასეთის სიჩქარით ჩადენილ შეცდომისათვის.

ბ-ნ ვ. ო. ურუშაძის მეორე სურვილი „გასაგების ენით“ გარდმოცემა ისტორიულ ფაქტებისა მარტოოდენ სურვილად უნდა ჩაითვალოს. ჩვენს ავტორს, რამდენათაც კერძოდ ვიცნობთ, ქართულის ენის უცოდინარობას სრულიად ვერ შევწამებთ, მხოლოდ ის-კი აშკარაა, რომ მთელი წიგნაკი მეტად უხერხულის ენითაა შედგენილი. ქართულის ენის ბუნება ნაცვალ სახელების წინადადებაში სიმრავლეს ძრიელ ერიდება, ბ-ნი ვ. ურუშაძე-კი ფართო ადგილს უთმობს ამ ნაცვალსახელებს, რის გამო აზრს ზოგჯერ ძრიელ ბუნდოვანად ხატავს. ძალიან ხშირად შეხვდებით ასეთს წინადადებას: „იმას ვაჟი აღარ დარჩა, იმის პირველი სურვილი იყო“ და სხვ. გარდა ამისა, თვით წინადადებების კონსტრუქციაც ვერ აქვს ბ-ნ ვ. ურუშაძეს ქართულ ენის ნამდვილ ბუნებასთან შეხამებული. მაგალითად, ხშირად შეხვდებით ასეთს წინადადებას: „თოვლიანი წვეროები სიცივეს უმატებენ ჩვენს ქვეყანას, აჩენენ ცივ ქარს, ამასთან მრავალ მდინარეთა, რომელთა შორის შესანიშნავია მტკვარი, რომელიც ერთვის კასპიის ზღვას და რიონი, რომელიც ერთვის შავ ზღვას“.

წიგნის ნაკლულევანებად უნდა ჩაითვალოს ის გარემოებაც, რომ ავტორს არა აქვს მოხსენებული არც ერთი ავტორი, რომლის თხზულებითაც უსარგებლნია. რამდენადაც შევნიშნეთ, ბ-ნ ვ. ურუშაძეს წიგნის შედგენის დროს უსარგებლნია მ. ჯანაშვილის, ი. გოგებაშვილის, დ. ბაქრაძის და სხვათა ისტორიულ ნაწერებით, და ვგონებ საჭირო იყო ამ ავტორების მოხსენება წინასიტყვაობაში მაინც.

წიგნაკი, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, პატარა ფორმატისაა, შეიცავს 72 გვერდს და ჰღირს 25 კაპ. ავტორს, ჩვენის აზრით, ცოტათი გადამეტებული ფასი დაუდვია, რაიცა ხელს შეუშლის წიგნის ღარიბ ხალხში გავრცელებას. ეს გარემოება-კი მეტად სამწუხაროა.

მიუხედავად ჩვენ მიერ აღნიშნულ ნაკლულევანებათა, წიგნს თავისი ღირსებაცა აქვს. წიგნი სუფთადაა გამოცემული, ლამაზის შრიფტითაა აღბეჭდილი და ლამაზათაა დასურათებული. ავტორს სხვა და სხვა ადგილას გაბნეული ისტორიული ფაქტები, დღემდის მდაბიო ხალხისა და მოსწავლეთათვის მიუწდომელი, ერთად მოუგროვებია და დაულაგებია თავთავის ადგილას. ჩვენის აზრით, წიგნი სარგებლობას მოუტანს მკითხველ საზოგადოებას. ხოლო თუ ავტორი შემდეგის გამოცემისათვის ზემო დასახელებულ ნაკლულევანებას თავიდან აიცილებს, ეს სარგებლობა ერთი ორად იმატებს.

ა. ყუმიხთაველი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 ნოემბერი.

პეტერბურგი. მის უდიდებულესობას, ხელმწიფე იმპერატრიცას ალექსანდრა თეოდორეს ასულს გუშინ საღამოს ტემპერატურა ჰქონდა 37,[illegible]; დღეს დილით ტემპერატურ 36,9. მაჯა 64. ყურის იარა თანდათან უშრალდება და ტკივილიც სცხრება. რადგან საერთო მდგომარეობა და ჯანმრთელობა რიგიანია, ბიულეტენები აღარ დაიბეჭდება.

მადრიდი. დედოფალი ქრისტინე უქეიფოდ არის.

კოსტრომა. ვოლგა მოჰყინა.

ქერჩი. გამოვიდა პირველი ნომერი «ყირიმის გაზეთისა».

რეველი. ფინლანდიის სამგზავრო გემი «ველამო» განგესთან დაშავდა. დაწვრილებითს ცნობებს ჯერ არ იტყობინებიან.

ლონდონი. ხმები, ვითომც პარლამენტი მალე შესწყვეტს მუშაობასო, უსაფუძვლოა.

შანჰაი. ბრძანება მოვიდა გაიგზავნოს პეკინს მანჯურიის საუკეთესო რაზმი, რათა ქვრივი დედოფალი გააცილოს, როდესაც დასავლეთისაკენ გაემგზავრება.

როცა ბლაღოჩინის სახლთან მივიდა ჩვენი მგზავრი, უკვე რვა საათი იყო. თვითონ ბლაღოჩინს ეძინა, ხოლო ცოლი, რაღაც შემთხვევით, დღეს ადრე ამდგარ იყო, მნათე რომ დაინახა ხურჯინ-გადაკიდებული,—სახე გაუბრწყინდა და ღიმილით მოეგება აივნის კარებზედ შემდეგ ის სიტყვებით:

— ჰას დაურჯიხართ ასე ადრე?

— ვერ, ბატონო, პეტერეი რაცხა მოგარივით და, თუ თქვენი საკადრისი მღერთმ. ქნა,—ღმეჭით სთქვა მნათემ და ხურჯინი მხრიდან გადმოიღო,—ბლაღოჩინი შინ ბრძანდება?

— შინ არის, მარა სძინავს, წუხელის ნათვლაში იყო და გვიანამდი არ დაუძინია, არ უნდოდა თურმე დარჩენა, მარა არ გამოუშვიათ, ხო იცი, სხვებსაც ეხალისებათ აგასთან პურის ჭამა.

— ყოლ იფერში კაი კაცია, ბატონო, მაგი, ყოლ იფერში, იცის ავი და კაი გეგება, ზოგიერთებივით ყრუ და უსმენარი არ არის. მაგან ერთი იმისანა საქმე მიქნა მე, რომ ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება და, საქნობამდი ვიცოცხლებ, მაგის პატივის მცემელი უნდა ვიქნე ყოველთვის.

— რა საქმე გიქნა ამისანა?

— მენდალზე წარუდგენივარ, ბატონო, და მომსვლია.

— ჰოო, მაგისანა პატივი ბევრისთვის უცია მაგას, მარა ვინაა, ათასში ერთი უმახსოვრებს როგორცაა! მერე, მე შენ გეტყვი, მექრთამეა ზოგიერთებივით თუ?! კაპიკი რო კაპიკია, იმის საღირალი არევისგან არაფელი არ ოულია.

— იმე, მაგის ამბავი თუ არ ვიცი, ვისი მეცოდინება სხვისი, აგერ ამდენი ხანია, ვიცნოფ და მაგისანა ალალ-მართალი, პატიოსანი ბლაღოჩინი მე მეორე არსად მეგულება.

ამ ლაპარაკში ბლაღოჩინიც ადგა და გარედ გამოვიდა. მნათეს ჩვეულებრივ სალამს პასუხი გასცა.

— დაჯილდოების ამბავს გეუბნებდი, უქეველია!—ცალ-ყბად უთხრა ბლაღოჩინმა ცოტახნის შემდეგ სტაროსტას,—გაუბედნიერებიხარ კაცი სასულიერო მთავრობას, სამსახური დაგიფასეს, დაგაჯილდოვეს!..

— თქვენით, თქვენი ჭირიმე, ბლაღოჩინო, თვარა ვინ მომხედავდა, მე რა ვიცი, ერთი უსტავლელი კაცი ვარ. თუ მიდღემჩი წარჩინებას მივიღებდი ჩემი სამსახურით,—ეს მე არც-კი მეგონა!

ბლაღოჩინი სახლში შებრუნდა მედლის გამოსატანად.

ბლაღოჩინის სახლის მახლობლად ერთი სამიკიტნო დუქანი იყო, სადაც სხვა-და-სხვა სოფლებიდამ ბლაღოჩინთან მომსვლელნი: მღვდელი, დიაკონი, სტაროსტა დადიოდნენ, თუ ღამის გასათევად (ვინც შორიდამ იქნებოდა), თუ ჭამა-სმისთვის, თუ ცხენისა და ჯორის თავლაში დასაბამად და სხ. აქვე ება ჩვენის დაჯილდოებულის სტაროსტას ჯორიც.

— პავლია! პავლია! მოდი ერთი ჭიქა ღვინო დავვილიე,—შესძახა ბოხი ხმით კარგა ჩასუქებულმა მიკიტანმა სტაროსტას, რომელიც ის იყო ჯორის გამოსაყვანად შევიდა დუქანში.

ღვინოს რამდენიმე კაცი შეექცეოდა. იმათ ხვენი სტაროსტაც მიემატა, ერთი ჭიქა ღვინო დალია და სამი ბოთლი თვითონ მოითხოვა.

— ეს ჩემი დაჯილდოვების მაყარიჩია!—სთქვა სტაროსტამ და მაგიდას მიუჯდა:—დღეს უნდა ვიმხიარულო, დღესაა ჩემი გაბედნიერების დღე... ამაზე უფრო სასიხარულოს მე აწი ვერაფელს მოვესტრები...

— რითი დაგაჯილდოვეს პავლია?—შეეკითხა მიკიტანი.

— მენდლით, ხემწიფის სახეა ზედ!..

— აჰა, კი გმართებს შენ რო კაი მაყარიჩი იყიდო; შევწვათ რამე?

— შეწვით, თუ რამე გაქ, ვჭამოთ, ვსვათ...

გაჩაღდა ლხინი. კარგა შეზარხოშდნენ.

— ეს ღმერთმან ადღეგრძელოს ის კაცი, რომელი კაციც რამე სამსახურს ასრულებდეს, უბრალო კაცი არ იყოს და წარჩინება ქონდეს!—წარმოსთქვა სადღეგრძელო სტაროსტამ და ჭიქის ფსკერი უჩვენა ჭერს.

— რანაირ სადღეგრძელოს სვამ, კაცო, შენ!—რაღაც უკმაყოფილო კილოთი შეეკითხა ერთი თანამსმელთაგანი,—რავა უბრალო კაცი არ იყოსო, შენ რა დიდი პომპოლიკი გგონია შენი თავი?!

— მეე?!

— ჰო, შენ.

— ვაი ბეჩა, შენ არ გცოდნია, მე ვინ ვარ!.. ამას ხედავ?

ამოიღო ჯიბიდამ მედალი და უჩვენა მოწინააღმდეგეს.

შეიბნენ ამაზედ და ლაზათიანი ჩხუბი გაიმართა. მნათეს ნიშანიც დაადეს შუბლზედ.

როცა ეზოს ჭიშკართან მიიყვანა ჯორმა დაჯილდოებული მნათე, გახარებული გამოვარდა სახლიდამ თებროლე და წინ შემოეგება, მაგრამ მენდლის მაგიერ ქმრის გულსა და შუბლზე სისხლი-კი დაინახა...

ალ. გერასიმიძე.

19 ნოემბერი

სოფია. ლტოლვილნი კვლავ მოდიან ბულგარიაში, იმის მაგიერ, რომ მაკედონიაში ბრუნდებოდნენ; მთავრობა იძულებულია იშუამდგომლოს კრების წინაშე, ფული გადასდოს შესაწევრად ამ უბედურთათვის, რომელთაც არა გააჩნიათრა.—კრებაზე 17 ნოემბერს ილაპარაკეს მთავრობის ორატორებმა. დანევის კაბინეტის დამხობა იმით აიხსნება, რომ ქვეყანას არ უყვარდათ. ცანკოვის მომხრენი დაპირებით ბევრს დაჰპირდნენ ქვეყანას, მაგრამ გაკეთებით-კი ვერაფერი გააკეთესო. არჩევნების დროს შეერთებულ ოპოზიციის დამარცხების მიზეზი ის იყო, ორატორების აზრით, რომ ამომრჩევლნი უგულოდ მოეკიდნენ იმ დასთა კავშირს, რომელიც არჩევნებამდე ერთმანეთს სჭამდნენო.

ჯულფა. სპარსეთში მოგზაურობით გამოირკვა ახალ სადამოჟნო ტარიფის შედეგი: იმატა რუსეთიდან შეტანილმა საქონელმა და იკლო ევროპიულმა მთელს ადერბეიჯანში.

სტამბოლი. რუსეთში და ავსტრიის საელჩონი კვლავ მტკიცედ თხოულობენ, რომ განხორციელებულ იქმნას ორი მუხლი რეფორმათა ნოტისა. ეგ მუხლნი შეეხებიან ორსავე დიდ სახელმწიფოს წარმომარგენელს მაკედონიის პროვინციების მთავარ ინსპექტორთან და ჟანდარმერიის რეორგანიზაციას. ოსმალთა კომისიამ, რომელშიაც არიან მარშალი ზექი-ფაშა, ყარა-თეოდორი-ფაშა და თეფიქ-ფაშა, უნდა განიხილოს წინმდადება სახელმწიფოთა და მოახერხოს მორიგებით საქმის გათავება.

სოფია. რუსეთის მთავრობა კვლავ მტკიცედ თხოულობს, გადაიხადეთ საოკუპაციო ვალი, რომელიც 30 მილიონ ფრანკამდეაო. გადახდა, 1898 წლის მორიგების ძალით, უნდა დაწყებულიყო წელს, მაგრამ, დანევის კაბინეტის თხოვნით, გადადებულ იქმნა 1906 წლამდე. ბულგარიის მთავრობას მოლაპარაკება აქვს რუსეთთან და სთხოვს კვლავ გადადებას და სხვაგვარ შემსუბუქებასაც.

პორტ-არტური. ინგლისის მთავარ-მინისტრის სიტყვის გამო, რომ ვითომ იაპონიის ოფიციოზური პრესა ენდურება თავის მოკავშირეს, იმის მაგიერ, რომ იმედს ამყარებდეს ჩვენს ზომიერებასა, სამართლიანობასა და კეთილ-გონიერებაზედაო,—ამბობს Iapon Times-ი, მთავარ-მინისტრს შეეძლო გაემხნევებინა ქვეყანა და თანაგრძნობა გამოეთქვა იაპონიის გულ-მოდგინეობისადმი. ამაზედ „ნოვი კრაი“ ამბობს: სჩანს „ყვითელთა“ შიში აფხიზლებს და სიფრთხილეს უღვიძებს ყველას. ნელ-ნელა ჩაჩუმდა ხმები, საჭიროა დაჭერა მანჯურიისაო. როგორც პეკინიდგან იუწყებიან, სახელოვანი საჭურისი ლილიანინი მხნედ ურჩევს იმპერატრიცას, რაც შეიძლება მალე მოახერხოს და მშვიდობიანი ურთიერთობა დაამყაროს რუსეთთან და არ უსმენდეს საშიშ წამქეზებელს ჩუანჯუანს და რუსეთზედ მტრად გადაკიდებულ სხვა დიდებულებს.

პეტერბურგის ბირჟა 12 ნოემბერი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93.75
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,75
ბერლინში „	46,30
პარიჟში „	$37,62^{1}/_{2}$
ბირჟის დისკონტი	$5—6^{1}/_{2}$%
4% სახელმწიფო რენტა	$99^{5}/_{8}$ გაყ.
4% სახ. ხესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	$95^{1}/_{8}$ მყიდ.
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	459 გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	348 წვ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	$294^{1}/_{4}$ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
$4^{1}/_{2}$% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა	—
$4^{1}/_{2}$% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საად მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	— მყიდ.
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—

რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოკტომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათომს: 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 6 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

ბაქოს: 1) შუადღის 1 ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამშაბათობით).

ყარს-ერევანს: 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2) საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

ტფილის-ბაქოსაკენ: 1) დილის 9 ს. 32 წ. 2) ღამის 12 ს. 8 წ.

გ) ბაქოდან:

ტფილის-ბათომისაკენ: 1) შუადღის 1 ს 48 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); 4) დილის 4 ს. 8 წ.

დ) ქუთაისიდან:

ბათომისაკენ: 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

ტფილის-ბაქოსაკენ: ღამის 3 ს. 58 წ.

ე) შორაპნიდან:

ჭიათურა-დარკვეთისაკენ: 1) დილის 6 ს 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

შორაპნისაკენ: 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.

გამოსადეგი ცნობები.

საეკკლესიო მუზეუმი

(სიონის ტაძრის ეზოში)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათობითა და ხუთშაბათობით 9—11 საათამდე და კვირაობით 10—1 საათამდე, ისაც სხვა დროსა სურს დათვალიერება, შეუძლიან მიჰმართოს მუზეუმის გამგეს—ბ-ნ მოსე ჯანაშვილს (მინკვიცის ქ. № 27)

დაწესდა დღე და ღამ მორიგეობა ბებია-ქალთა ქალაქის სამკურნალოში, რომელიც მუხრანის ქუჩაზეა და ოლგის საბებიო ინსტიტუტში.

ყველამ, ვისაც დასჭირდება ბებია-ქალი ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა პირველ დახმარებისათვის, უნდა შეიტანოს ახლად დაარსებულ ბებია-ქალთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ ერთი მანეთი.

ტფილისის საზოგადო წიგნთ-საცავი

(მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

1 აპრილიდან 1 ოკტომბრამდე იღება 4 საათზე და იკეტება 6 საათზე შუადღის შემდეგ.

1 ოკტომბრიდან 1 აპრილამდე იღება 12 საათზე და იკეტება 5 საათზე შუადღის შემდეგ. წიგნთ-საცავში მრავალ რუსულ, ქართულ, სომხურსა და ევროპიულ წიგნებს გარდა, ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთობაც არის. მკითხველთათვის დიდი დარბაზია მოწყობილი. შესვლა უფასოა.

კვირა-უქმე დღეს წიგნთ-საცავი დაკეტილია; ზაფხულობითაც 15 აგვისტომდე დაკეტილია.

ეტლების სიარული ტფილისსა და თელავს შორის.

მამულოვის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზედ, თელავიდგან ტფილისს ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი დახურ ეტლში 4 მან., კოზლაზედ—3 მან. (კანტორა იმყოფება ავლაბარში, კახეთის მოედანზე).

ეტლების სიარული ტფილისსა და სიღნაღს შორის.

აბოევის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზე. სიღნაღიდგან ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი კაცზე ვადიან დილიჟანსკი—4 მან., უვადოში—3 მან.

კავკასიის მუზეუმი

მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათს, პარასკევსა და კვირა დღეს, დილის 10 საათიდან 3 საათამდე. შესვლა ერთი აბაზია.

პირუტყვთა სამკურნალო.

მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობაზედ დაარსებული პირუტყვთა მფარველი საზოგადოების საკუთარს სახლში, რიყის ქუჩაზე № 12, ტელეფონი № 536.

ავადმყოფ პირუტყვს სინჯავს ბეითალი კ. ა. ატრენოვი დილის 8 საათიდგან 10-მდე და საღამოს 5 საათიდგან 7-მდე. ამას გარდა სხვა ბეითლებიც რიგ-რიგად იმყოფებიან სამკურნალოში: ბეითალი ნ. ბრიუკსი $1^{1}/_{2}$-დგან 2-მდე და ა. არტემოვიჩი—4-დგან 5-მდე. სამკურნალოში არის ბაგა ავადმყოფ პირუტყვთათვის, სადაც დაეტევა 12 სხვილი და 28 წვრილი საქონელი, ანუ ფრინველი. სამკურნალო იღებს წამლობისათვის და რჩევისათვის თითო სულზე 20 კაპ. სამკურნალოში ოპერაციებსაც უკეთებენ პირუტყვებს.

მიმოსვლა ეტლებისა კავკასიის გზით.

კარეტა ვადიანი გადის ტფილისიდგან კავკავს 7-სა და 8 საათზედ დილით, ღამე ჩერდება მლეთში და კავკავს მიდის საღამოს 7 საათზე.

გარდასახადი:

1 კლასით	15 მან.
2 „	10 „
3 „	5 „

ლინეიკა გადის ტფილისიდგან ნაშუადღევის 3 საათზე, ღამე არსად ჩერდება.

გარდასახადი:

1 ადგილისა	6 მ. 80 კ.
2 „	4 „ 80 „

ნიხრი ეტლებით მიმოსვლისა

ქ. ტფილისში.

საათობით	60 კ.
ერთ გზობით	30 „
ქალაქიდგან ავლაბარში	40 „
ნავთლუღში	50 „
ავლაბრიდგან ნავთლუღს	30 „
ნათლუღიდგან ქალაქს	40 „
ქალაქიდან და ავლაბრიდგან რკინის გზის სადგურამდე	50 „
იქვე ნახევარ საათის გაჩერება და უკან დაბრუნება	80 „
ქალაქიდგან და ავლაბრიდგან მუშთეიდის ბაღში და დიდუბეს	40
იქვე ნახევარ საათის გაჩერება და უკან დაბრუნება	1 მ.
ქალაქიდგან ორთაჭალას, საპყრობილემდე	80 კ. „
კრწანისის ბაღამდე	80 „
ნათლუღიდან რკინის გზის სადგურსა და მუშთეიდის ბაღამდე	80 „
რკინის გზის სადგურიდან ქალაქსა და ავლაბარს	60 კ.
იქიდამ ნათლუღამდე	1—20

იქ თუ რკინის გზის მატარებელმა დაიგვიანა, ყოველ ნახევარ საათში 30 კაპ. ემატება.

მართლმადიდებელთა სასაფლაომდე 50 კ.

ეს ნიხრი სავალდებულოა ღამის 1-ლი საათამდე; შემდეგ-კი 1 ოკტომბრიდგან 1 აპრილამდე ერთგზობით უნდა მიეცეს 50 კ. ხოლო 1 აპრილიდგან 1 ოკტომბრამდე 30 კ.

განცხადებანი

ქუთაისში

ს. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

ტფილისის ქალაქის გამგეობა

იწვევს იმ პირთ, ვისაც სურს იკისროს გრანიტის კუბიკების წარმოდგენა ქალაქის ქუჩების საუკეთესო სისტემით მოკირწყვლისათვის, ამა წლის 1-ლ დეკემბრის დღის 12 საათამდის წარმოადგინონ გამგეობაში დაბეჭდილ კონვერტებში თავიანთი დაწერილებითი განცხადებანი იმ პირობების შესახებ, რომლით შეუძლიანთ მათ იკისრონ ხსენებულ მასალის წარმოდგენა ქალაქის გამგეობის მიერ ნაჩვენებ ადგილებში მე-8, მე-9 და მე-10 საპოლიციო უბნებში. პირველად მოტანილ უნდა იქმნას არა ნაკლებ 500 ოთხ-კუთხი საჟენისა (200,000 თანა) არა უგვიანეს მომავალ წლის 1-ლ მაისისა, შემდეგი ვადები კუბიკების მოტანისა პირობებში უნდა აღინიშნონ, ხოლო სავალდებულოა, რომ მომავალ წლის 1-ლ ოკტომბრამდე მოტანილი იქმნას 1500 ოთხკუთხი საჟენი (500,000 თანა). საზოგადო ტეხნიკურ პირობებისა და აგრეთვე სხვა პირობების შეტყობა და მიღება შეიძლება გამგეობის სააღმშენებლო განყოფილებაში, ქუჩების მოკირწყვლის კომისიის კანცელარიაში, ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2-მდე. განცხადებები მიიღება მხოლოდ დაწერილი და კონვერტებში დაბეჭდილი ზედ-წარწერით: «Къ конкуренции на поставку материаловъ для новаго мощенія г. Тифлиса». განცხადებებში დაწვრილებით უნდა იქმნას აღნიშნული: 1) სად იქმნება მოტეხილი გრანიტი და რა ხარისხისა იქმნება და 2) რა ეღირება მოტანით 100 თანა კუბიკი.

ის მოიჯარადრეები, რომელთ დაეკისრება მასალის მოტანა, მოვალენი იქმნებიან, 15 დღის განმავლობაში მას შემდეგ, რაც შეატყობინებენ, შეიტანონ გამგეობაში ბე; ამისთვის განცხადებებში უნდა იქმნას აგრეთვე აღნიშნული, რამდენს წარმოადგენს მოიჯარადრე ბეს აღებულ საქმის რიგიანად აღსრულების უზრუნველყოფისათვის.

(ნ. 3—1)

ხან-ჩოკრაკისა და ჯემეთეს

განთქმული ზვრებიდგან ქალაქ ანაპის ახლო (ყუბანის ოლქი, შავი-ზღვის პირათ) ისყიდება ევროპიული ჯიშის ვაზის რქა:

რისლინგისა (rieisling), რომელიც იძლევა მსოფლიოთ განთქმულს თეთრს ღვინოს იაგანისბერგს,

კაბერნესი (Cabernet), რომელიც არა ნაკლებ განთქმულს წითელ ღვინოს დაფიტს იძლევა.

ამ ვაზებს არ ავნებს როთვილი, ყინვას კარგად იტანენ დაუმარხავათ ყველგან, უხვათ მოსავალს იძლევიან ურწყავ ადგილებში და ობი (Mildiu) და ნაცარი (oidium) ნაკლებათ ვნებს, ვინემ საქართველოს ჯიშის ვაზებს, თუნდა საფერავს, როგორც დაკვირვებიდგან ვხედავ ზემოხსენებულ ვენახებში.

მეტადრე ვურჩევ ქართლ-კახელ მევენახეებს.

ფასი:

ათასი რქა	4 მან.
ათი ათასი	35 მან.
ასი ათასი	300 მან.

შეიძლება მეტის დაკვეთაც ამ ფასების დაგვარათ პირველ დეკემბრამდე. ვგზავნი პირველ მარტიდგან. გაგზავნის ხარჯი მყიდველისაა. ბე ერთი მესამედი. ადრესი აეს:

Анапа (Кубанск. области) Контора садовъ Ханъ-Чокрака и Джемети, Ю. Л. Пиленко.

უფროსი მევენახე „ხან-ჩოკრაკისა“ და „ჯემეთეს“ ზვრებისა ვასილ ბიბილაშვილი.

(10—6—5)

გამოვიდა და იყიდება ყველგან ახალი გამოცემა „წერა-კითხვის საზოგადოებისა“ № 63.

შოთა რუსთაველის

ვეფხის ტყაოსანი

4 პორტრეტითა და 21 სურათით, დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებითა და ვრცელის ლექსიკონით.

XXX+361 გვ. ფასი სამი აბაზი.

50 ცალი დაბეჭდილია სქელ ქაღალდზედ და თითო ცალი ღირს ერთი მან.

როიალები პიანინო

ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ.-და-სხ.

ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები

მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა.

ბ. მ. მირიმანიანისა.

МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО

Б. М. МИРИМАНЯНЪ

Тифлисъ, Дворцовая ул.

(25—6—7)

„ცოდნა“

ახლად დაარსებული ქართული წიგნის მაღაზია

ტფილისი, ქაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

იყიდება. ყველა ქართული წიგნები და ქართულ-რუსული სახელმძღვანელონი სახმარებელნი სამრევლო და სამინისტრო სკოლებში. აგრეთვე მაღაზია ჰყიდის და ყიდულობს ძველს და ნახმარს წიგნებს დაკლებულ ფასად.

საგანი „ცოდნის“ მაღაზიისა—გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასათვის ხელ-მისაწვდომ გამოცემათა.

მსურველთ წიგნები ეგზავნება ქალაქ-გარედაც **ფას-დადებით.**

დაუყოვნებლივ ვასრულებთ ყოველ გვარ შეკვეთას, როგორც ქალაქის აგრეთვე პროვინციის მცხოვრებლებისას.

იქვე მიიღება ხელის მოწერა ყველა ქართულ ჟურნალ-გაზეთებზე.

ადრესი: Тифлисъ, Книжный магазинъ „ЦОДНА“.

წიგნის მაღაზიის პატრონი და მმართველი სოსიკო მერკვილაძე.

საწყობი ქაღალდის

დიტიატკოვის ამხანაგობა

მოსკოვი 1882 წ. — ნოვგოროდი 1896 წ.

საწერ-ქაღალდის ქარხნებისა ტფილისში.

ქაღალდი საფოსტო, საწერი, წიგნის საბეჭდი, გაზეთის საბეჭდი საზოგადოდ ყოველგვარი საბეჭდი ქაღალდი ყველა ნომრისა, ალბომის ქაღალდი აგრეთვე ყველა ფერისა, თუთუნის სახვევი, ჩაის სახვევი, მუნდშტუკისა, საზოგადოდ საქონლის სახვევი და სამანუფაქტურო, შაქრის სახვევი და კარდონისა.

საკანცელარიო, სამწერლობო, სახაზავ და სამოწაფეო იარაღ-კუთვნილებათა. საქონელი **ფაბრიკის ფასად.**

ადრესი წერილებისა: ერევნის მოედანი, სახლი ტფილისის საკომერციო ბანკისა.

ტელეგრამებისათვის: Тифлисъ. Дитятковское Товарищество.

ტელეფონი № 66. (30—6.—30)

Дозволено цензурою Тифлисъ 19 ноября 1903 г. Типографія Е. И. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяно-григ. семинаріи | დროებით რედაქტორი გ. ქიქოძე, გამომცემელი ა. ხარაჯიშვილი.